დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N52

2015 წლის 12 ივნისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ სახელმწიფო შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მიმდინარე წლის ივნისის თვეში სტიქიური მოვლენების შედეგად საგრძნობლად დაზიანდა ანანურის ფასანაურის, ხეობის, გუდამაყრის, ბარისახოს, ბაზალეთის, ჟინვალის, ჭოპორტის, გრემისხევის, მჭადიჯვრის და დუშეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა საავტომობილო გზები და ინფრასტრუქტურული ობიექტები, რომელთა სწრაფი რეაბილიტაცია, სასიცოცხლოდ აუცილებელია მოსახლეობისათვის.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში გზების და მდინარეთა კალაპოტების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭიროა განხორციელდეს 1767,2 ლარის ღირებულების სადიზელო საწვავის შეძენა და 38049,36 ლარის ღირებულების სამუშაოების შესყიდვა.

აღნიშნული შესყიდვები უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, რომლის პროცედურებიც მოითხოვა გარკვეულ დროს.

იმის გათვალისწინებით, რომ სტიქიური მოვლენების შედეგად შექმნილია მძიმე ვითარება და მათ უმოკლეს ვადებში აღმოფხვრას სასოცოცხლო მნიშვნელობის აქვს მოსახლეობისათვის, შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფასებს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას რათა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ'' ქვეპუნქტის, 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის მიტარების წესის'' მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ''ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

22932445 1
"18" 06 2015
№ 158

ბ ა ბ ა ნ ი ნ ა ლ ი
დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
შემოსულია № 285
"16" 06 2015

გადაწყვიტა:

1.მიეცეს თანხმობა, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 39815,56 (ოცდაცხრამეტი ათას რვაას თხუთმეტი ლარი და 56 თეთრი) ლარზე.

2.განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ლაფანაშვილი